ოქმი:**ო63.63211806**
თარიღი:**29/06/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 24

ქ. სამტრედია. 28 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 28 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების

   განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (12 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. 2021 წლის 25 ივნისის **N:** 62-622117643, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ

კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების საკითხს.

(მომართვის N : 62-622117643, 25/06 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211761-63, 25/06/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

2. ***2021 წლის 25 ივნისის*** N 62-622117644, 25/06 /2021 წ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

(მომართვის N 62-622117644, 25/06 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211762-63, 25/06/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი